



განაკვეთილთა  
პროფესიული  
განვითარების  
ერთმხრივი ცენტრი



დღიბიძრი უზნაძის  
პედაგოგიკური კონცეფცია

ავტორი:

მანანა მელიქიშვილი

რედაქტორები:

ნათია ნაცვლიშვილი

ნინო ლაბაროყავა

© 2013, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული  
ცენტრი

[WWW.TPDC.GE](http://WWW.TPDC.GE)

## ძირითადი საკითხები

---

I. განწყობის ცნება

---

II. ფიქსირებული განწყობა

---

III. ნებისმიერი და იმპულსური ქცევა

---

IV. ნებისმიერი ქცევის განვითარება ბავშვებთან

---

V. ფუნქციური ტენდენცია და ასაკობრივი გარემოს ცნება

---

VI. ადამიანის ქცევის ფორმების კლასიფიკაცია

---

VII.დ. უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებები

---



## განწყობის ცნება

უდიდესია დიმიტრი უზნაძის ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე. მან დაუდო სათავე მეცნიერულ პედაგოგიკას საქართველოში, იყო ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დამაარსებელი.

დ. უზნაძე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც ემპირიულად იკვლია და თეორიულად დაასაბუთა ისეთი არაცნობიერი ფსიქიკური რეალობა, როგორცაა განწყობა.

განწყობა არის სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს მის მზაობას კონკრეტული ქცევის შესასრულებლად. განწყობა წარმოიქმნება მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის საფუძველზე და განსაზღვრავს ყოველგვარი სახის ფსიქიკური აქტივობის აღძვრასა და მიმდინარეობას. განწყობა მიზანშეწონილ სახეს აძლევს აქტივობას, ვინაიდან მასში ქცევის განხორციელებისთვის საჭირო ყველა სუბიექტური და ობიექტური მონაცემია მოცემული.

დ. უზნაძის თანახმად, ნებისმიერ ქცევას წინ უსწრებს განწყობის აღმოცენება. იმისათვის, რომ აღმოცენდეს ქცევა და, შესაბამისად, ამ ქცევის ადეკვატური განწყობა, საჭიროა არსებობდეს მოთხოვნილება და სიტუაცია, რომელიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. შესაბამისი განწყობის გარეშე ადამიანი ვერაფერს გააკეთებდა. ყველა ფსიქიკურ პროცესს, ყველა ჩვენს აქტივობას განწყობა ამოძრავებს და აძლევს მიმართულებას. განწყობა არაცნობიერი ფენომენია, რაც ნიშნავს, რომ ადამიანს არ გააჩნია მისი ცნობიერი და ნებელობითი კონტროლის უნარი. მაგალითად მოვიყვანოთ ექსპერიმენტი, რომელიც ბავშვებთან ჩაატარეს. ბავშვებს დაანახეს გამჭ-

ვირვალე ტურტელში ჩასხმული სითხე და უთხრეს, რომ ეს იყო მჟავა, რომელიც კანთან შეხებისას იწვევდა დამწვრობას. შემდეგ ჩამოუარეს და ყველა ბავშვს თითო-თითო წვეთი დაასხეს ხელზე. ზოგიერთ ბავშვს ხელზე მართლაც გაუნდა მსუბუქი დამწვრობა. სინამდვილეში, ეს სითხე წყალი იყო. დამწვრობის მთავარი მიზეზი კი განწყობა იყო.

განწყობა შედგება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორისაგან. სუბიექტურ ფაქტორს განეკუთვნება მოთხოვნილება, ობიექტურს კი – სიტუაცია, ის გარემო, რომელშიც ადამიანს მოთხოვნილება დაუკმაყოფილდება. ამ ორი ფაქტორის ურთიერთემოქმედების შედეგად, წარმოიქმნება განწყობა, რომელიც ფსიქიკურ პროცესს ისე წარმართავს, რომ ადამიანი ამ ობიექტს დაეუფლება. მაგალითად, ადამიანმა რომ წყლის დაღვევის ქცევა განახორციელოს, ამისათვის საჭიროა, გააჩნდეს წყლის დაღვევის მოთხოვნილება და, ამავე დროს, წყალი უნდა დაინახოს. მხოლოდ მაშინ შეექმნება ადამიანს წყლის დაღვევის განწყობა და ის მიმართავს კიდევაც წყლის დაღვევის ქცევას.

განწყობის თეორიის მიხედვით, თუ ადამიანს შეუქმნი რაიმე მოთხოვნილებას და ჩააყენებ სიტუაციაში, რომ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება, განწყობაც გაჩნდება.

გარემოსთან ურთიერთობის პროცესში, პიროვნება, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება, გარკვეულ განწყობას განიცდის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ როგორ იმოქმედებს პიროვნება მოცემულ სიტუაციაში, წინასწარ არის განსაზღვრული. მაგალითად, როდესაც ადამიანი რუსს პურის შესახებ ესაუბრება, მას ენაზე თავისთავად ადგება სიტყვა „ხლებ“; როდესაც იგი გერმანელთან დაიწყებს საუბარს, მაშინ მას შესაფერი გერმანული სიტყვა „ბროტ“ აგონდება. რატომ? რა უდევს საფუძვლად ამ გარემობას? პასუხი ასეთია: რუსთან საუბრის დროს ადამიანი რუსულად სალაპარაკოდ არის განწყობილი, გერმანელთან საუბრის დროს – გერმანულად სალაპარაკოდ. მაშასადამე, რა სიტყვა მოგადგება ენაზე ყოველ კერძო შემთხვევაში, იმაზე დამოკიდებული, თუ რა ენაზე ლაპარაკის განწყობა გაქვს – აღნიშნავს დ. უზნაძე.

განწყობა განსაზღვრავს არა მხოლოდ ადამიანის ქცევას, არამედ გავლენას ახდენს აღქმის შინაარსზეც. მაგალითად, ჩასაფრებულ მონადირეს, რომელიც დათვს ელოდება, ადამიანი შეიძლება დათვად მოეჩვენოს.



განწყობა ადამიანის ემოციურ დამოკიდებულებასაც განსაზღვრავს. წინასწარ შექმნილი დადებითი (უარყოფითი) დამოკიდებულება, დადებითად (უარყოფითად) შეაფასებინებს რაიმე მოვლენას ადამიანს. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს, მოსწავლის ახალ აქტივობაში ჩართვისთვის, სჭირდება მოსწავლისთვის ისეთი განწყობის (მზაობის) შექმნა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარებს.

## **ფიქსირებული განწყობა**

დ. უზნაძის მთავარ დამსახურებას განწყობის ცნების დადგენაში ამ მოვლენის ექსპერიმენტული შესწავლა შეადგენს. დ. უზნაძის ხელმძღვანელობით, ექსპერიმენტულად შესწავლილ იქნა ფიქსირებული განწყობა და დადგინდა განწყობის გამოვლენის კანონზომიერებათა მთელი რიგი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განწყობის მოქმედების არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოცემული ობიექტური სიტუაციის შესატყვისად წარმართავს ადამიანის ქცევას, რადგანაც განწყობის აღმოცენება (მოთხოვნილების საფუძველზე) განპირობებულია მოცემული ობიექტური სიტუაციით. მიუხედავად ამისა, გარკვეულ პირობებში ხდება განწყობის ისეთი ფიქსაცია (განმტკიცება), რომ ახალ სიტუაციაშიც მოქმედებს ადრე შექმნილი განწყობა (ფიქსირებული), რის გამოც ადამიანის ქცევა ახალი სიტუაციის შესატყვისი არ არის.

განწყობის ფიქსაცია ხდება ან ადამიანზე კონკრეტული სიტუაციის ძლიერი ზემოქმედების გამო, ან სიტუაციის ხანგრძლივი, მრავალჯერადი ზემოქმედების (როგორც ამას ადგილი ჰქონდა დ. უზნაძის ექსპერიმენტებში) შედეგად. მაგალითად, ერთსა და იმავე განლაგებაში (მარჯვნივ პატარა, მარცხნივ დიდი ბურთის) მოცემული ობიექტების ათიოდეჯერ ზედიზედ შედარება ქმნის ფიქსირებულ განწყობას. შემდეგში, ორი ერთმანეთის ტოლი ბურთის მიწოდებისას, ადამიანი მათ არატოლად აღიქვამს, ე.წ. ილუზია ჩნდება. თუ კრიტიკულ ცდაში (ტოლი ბურთები) მიწოდებული ობიექტების მიმართება დიდად არ განსხვავდება, საგანწყობო ცდაში (არატოლი ბურთები) მიწოდებული ობიექტების მიმართებისგან, მაშინ ილუზია უფრო ხშირად ფიქსირე-

ბული განწყობის შესაბამისია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტოლი ბურთები აღიქმება არატოლად, მარჯვნივ პატარა, ხოლო მარცხნივ – დიდი. **ამას დ. უზნაძე უწოდებს ასიმილაციურ ილუზიას.** ხოლო თუ საგანწყობო ცდებისა და კრიტიკული ცდის ობიექტების მიმართება მნიშვნელოვნადაა განსხვავებული, მაშინ ილუზია ჩვეულებრივ, ფიქსირებული განწყობის საწინააღმდეგოა (მარჯვნივ დიდი, მარცხნივ პატარა). **ამას დ. უზნაძე კონტრასტულ ილუზიას უწოდებს.**

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა ფიქსირებული განწყობის შექმნისა და შემდეგ ადეკვატურ განწყობაზე გადასვლის კანონზომიერებები, რომელიც პიროვნებათა შორის ტიპოლოგიურ სხვაობებს იძლევა.

## **ნებისმიერი და იმპულსური ქცევა**

დ. უზნაძე გამოყოფს ქცევის ორ ძირითად ფორმას – ნებისმიერს და იმპულსურს.

იმპულსური ქცევის შემთხვევაში, ადამიანი მოქმედებს აქტუალური მოთხოვნილების საფუძველზე. მაგალითად, ადამიანს სწყურია. ის იღებს წყალს და სვამს.

რა არის ნებელობა?

მაგალითად, მოსწავლეს ეზარება მეცადინეობა, მაგრამ ის თავს ძალას ატანს და იწყებს მეცადინეობას. ამ შემთხვევაში, მოსწავლემ განახორციელა ერთგვარი ნებელობის აქტი, რომ სიზარმაცე დაეძლია.

ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში, ადამიანი იმას კი არ აკეთებს რისი აქტუალური მოთხოვნილებაც აქვს, არამედ იმას, რაც მის მე-ს, ინტერესებს, მოთხოვნილებებს შეეფერება.

გადაწყვეტილების აქტს ყოველთვის წინ უსწრებს მოფიქრება, ყველა შესაძლებლობათა აწონ-დაწონვა, გააზრება, რომლის შედეგადაც ადამიანი ერთ რომელიმე ქცევას განსაკუთრებით მიზანშეწონილად ჩათვლის. ამასთან ერთად, არჩეულ, მიზანშეწონილ ქცევას სჭირდება საფუძველი და, ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში, ასეთ საფუძველს მოტივი წარმოადგენს. ადამიანის გადაწყვეტილებას განსაზღვრავს მოტივი, რომელიც იმ ღირებულებების გაცნობიერებაა (ობიექტივაცია), რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს პიროვნებისთვის და, ამ აზრით,

იგი ერთ-ერთი ქცევის გამართლებაა. სანამ ადამიანი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს, მან სათანადო მოტივი უნდა მოიძიოს, გააცნობიეროს იმ ღირებულებების უპირატესობა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს მისთვის. გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებს მოტივაციის პროცესი, აღნიშნავს დ. უზნაძე.

მაშასადამე, ნებისმიერი ქცევის განხორციელების დროს, ჯერ უნდა გამოიყოს, აზროვნების საშუალებით, ქცევის მიზანშეწონილების დადგენის ეტაპი, შემდეგ მოტივაციის პროცესი და ბოლოს – გადაწყვეტილების მიღება.

მაგალითად, სალამოს კონცერტზე წავიდე, რომელიც ძალიან მაინტერესებს, თუ სახლში დავრჩე და ვიმეცადინო? დავუშვათ, მეცადინეობა ჩემთვის მაინცდამაინც მიმზიდველი არ არის, მაგრამ წინასწარი მოფიქრების შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჯობია სახლში დავრჩე და ვიმეცადინო. რატომ გავაკეთე ისეთი არჩევანი, რომელიც ჩემთვის არ იყო მიმზიდველი? იმიტომ, რომ მეცადინეობას ჩემთვის მეტი ღირებულება აღმოაჩნდა. მეცადინეობა მომცემდა საშუალებას, რომ მეორე დღეს გამოცდა ჩამებარებინა, რომელიც ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონცერტით მიღებული სიამოვნება. ჩემი გადაწყვეტილების მოტივი სწორედ ესაა.

მოტივი ფიზიკურ ქცევას ფსიქოლოგიურად აქცევს, რთავს რა მას ადამიანის ძირითად მოთხოვნილებათა სისტემაში და განსაზღვრავს მის საზრისს.

დ. უზნაძე ხაზს უსვამს ე.წ. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ქცევის არსებით განსხვავებას. კერძოდ, ფიზიკური ქცევა არის მოქმედებათა გარკვეული თანმიმდევრობა, ხოლო ფსიქოლოგიური ქცევა არის ამ მოქმედებათა ის საზრისი, დანიშნულება, რომელსაც ატარებს ქცევა მისი სუბიექტისთვის. კონკრეტული ფიზიკური ქცევა ფსიქოლოგიურად მრავალი განსხვავებული ქცევა შეიძლება იყოს. ასევე, ერთი და იგივე ფსიქოლოგიური ქცევა სხვადასხვა ფიზიკური ქცევის სახით შეიძლება ვლინდებოდეს. მაგალითად, კონცერტზე წასვლა, როგორც ფიზიკური ქცევა, არის მოქმედებათა გარკვეული თანმიმდევრობა. კონცერტზე წასვლა ფსიქოლოგიურ ქცევად მაშინ იქცევა, როცა მას ფსიქოლოგიური შინაარსი დაემატება. კონცერტზე წასვლა ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად – ეს უკვე გარკვეული ფსიქოლოგიური ქცევაა, აღნიშნავს დ. უზნაძე. მაგრამ კონცერტზე წასვლას შეიძლება

სხვა მოტივიც ჰქონდეს, იგი შეიძლება სხვა მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდეს, მაგალითად, კონცერტზე წასვლა, ნაცნობთან შეხვედრის მიზნით. ამ შემთხვევაში ის სხვა ქცევა იქნება. იმავე კონცერტზე წასვლა გართობის მიზნით, ან ახალი საკონცერტო დარბაზის ნახვისთვის — ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებული ქცევებია. მაშასადამე, ერთი და იგივე ფიზიკური ქცევა, რომელსაც სხვადასხვა მოტივი აქვს და სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, ფსიქოლოგიურად განსხვავებული ქცევაა. ფსიქოლოგიურად იმდენი განსხვავებული ქცევა არსებობს, რამდენ განსხვავებულ მიზანსაც ემსახურება იგი. მაგალითად, თუ მოსწავლე სწავლობს იმიტომ, რომ ცოდნა მიიღოს, ეს კონკრეტული ფსიქოლოგიური ქცევაა, ხოლო თუ მოსწავლე სწავლობს ნიშნის მისაღებად, ან იმიტომ, რომ მას აიძულებენ, ეს სრულიად განსხვავებული ქცევა იქნება.

როგორც იმპულსურ, ასევე ნებისმიერ ქცევას საფუძვლად უდევს განწყობა. იმპულსური ქცევის შემთხვევაში, აქტუალური მოთხოვნებისა და აქტუალურად მოცემული სიტუაციის ურთიერთობის ნიდაგზე, ადამიანს უჩნდება განწყობა, რომელიც ქცევას საფუძვლად ედება. ნებისმიერი ქცევა კი არ ემსახურება აქტუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას და არც აქტუალურ, კონკრეტულ სიტუაციას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მაგალითად, როცა ადამიანს გადასაწყვეტი აქვს, კონცერტზე წავიდეს თუ სახლში დარჩეს და იმეცადინოს, ის ორივე სიტუაციას წარმოიდგენს, გაიაზრებს, თუ რა შედეგი მოჰყვება ერთს ან მეორეს. იმის მიხედვით, თუ მე-ს რომელი მოთხოვნილება ექნება პიროვნებას, სახლში დარჩენის ან კონცერტზე წასვლის განწყობა იქმნება. განწყობა, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში ჩნდება და რომელიც საფუძვლად ედება ნებისმიერ ქცევას, წარმოსახული, აზრითი სიტუაციის საფუძველზე იქმნება.

ამრიგად, იმპულსურ ქცევას საფუძვლად აქტუალური სიტუაცია უდევს, ხოლო ნებისმიერ ქცევას კი წარმოსახული, აზრითი სიტუაცია.

## **ნებისმიერი ქცევის განვითარება ბავშვებთან**

სამ წლამდე ასაკის ბავშვის აქტივობისთვის დამახასიათებელია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია. ერთი მხრივ, იგი წინააღ-

მდეგობის გარეშე ემორჩილება უფროსების რეგულაციას და, მეორე მხრივ, ბუნებრივი ტენდენციების ძლიერი იმპულსის ზეგავლენით, დაბრკოლებასთან ბრძოლისა და წინააღმდეგობის დაძლევის უნარი ვითარდება. მაგალითად, სიარულის სწავლისას ხშირია შემთხვევა, რომ ბავშვი ძირს ეცემა, შეიძლება იტკინოს კიდეც რამე; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის კვლავ ცდილობს, ფეხზე ადგეს და გაიაროს.

3-4 წლის ასაკი არის „პირველი უნიანობის“ პერიოდი. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ბავშვი ჯიუტ არსებად იქცევა. ის ცდილობს საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებას და ხშირად ძლიერ წინააღმდეგობას უწევს უფროსებს, რათა თავისი გაიტანოს. ძალიან მალე ბავშვი აქტივობის განვითარების ახალ საფეხურზე გადადის. აცნობიერებს რა ობიექტურად არსებული წესების გარდაუვალობას, ის კვლავ დამჯერი ხდება. იგი გრძნობს, რომ ობიექტურ ვითარებას ანგარიში უნდა გაუწიოს, რადგან წესებს ვერ შეცვლის და თავისი ნებით ემორჩილება. უზნაძის თანახმად, განვითარების ამ საფეხურზე ნებისმიერი ქცევის საფუძველი მზადდება და მისი გამოვლენის პირველი ნიშნები იჩენს თავს. ბავშვი თავის იმპულსებს გარედან მომდინარე წესებს უმორჩილებს. ბავშვმა იცის, რომ ის, რასაც წესი ავალებს (მას შეიძლება ეს სულაც არ მოსწონს), უნდა შესრულდეს. 4-7 წლის ბავშვი წესის მიზანშეწონილობის საკითხს არ აყენებს (ეს ჯერ უცხოა მისთვის). წესების შესრულების აუცილებლობას განაპირობებს უფროსების ავტორიტეტი.

სწავლის დაწყებასთან ერთად, ბავშვი თავისი ქცევის მართვის უნარს ეჩვევა. ქცევის მიზანს განსაზღვრავს არა ბავშვი, არამედ უფროსი. ამ პერიოდში ბავშვი უკრიტიკოდ იღებს უფროსების მიერ დაწესებულ წესებს და ამრადაც არ მოსდის, რომ ავტორიტეტული უფროსები შეიძლება ცდებოდნენ. სწავლის პროცესი ხელს უწყობს ნებისმიერი ქცევის უნარის განვითარებას.

მოზარდობის პერიოდში ხელმეორედ თავს იჩენს ნეგატივიზმი და სიჯიუტე. მოზარდი მისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ და ებრძვის უფროსების მიერ დადგენილ წესებს. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ჯიუტობის ეს მეორე პერიოდიც მალე გაივლის და ადამიანის ქცევის განვითარების მაღალ საფეხურს უთმობს ადგილს. მოზარდის ფანტაზია (წარმოსახვა) და ინტელექტი იმდენადაა განვითარებული, რომ მას თავისი ქცევის რეგულაცია თვითონ შეუძლია. ამრიგად, მოზარდი ნებისმიერი აქტივობის საფეხურს აღწევს.

## ფუნქციური ბენჯინცია და ასაკობრივი გარემოს ცნება

რა განსაზღვრავს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებას – ბიოლოგიური ფაქტორი თუ სოციალური გარემო?

**დ. უზნაძის თანახმად, განვითარებას ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების დამოუკიდებელი მოქმედება კი არ განსაზღვრავს, არამედ მათი განუყრელი მთლიანობა. ცოცხალი ორგანიზმის შინაგანი შესაძლებლობები მხოლოდ შესატყვისი გარე პირობების ნიადაგზე პოულობენ რეალიზაციის საშუალებას.**

იბადება კითხვა – თუ ცოცხალი ორგანიზმის განვითარება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, შეხვდება თუ არა მისი შინაგანი შესაძლებლობები სწორედ იმ გარემო პირობებს, რომელიც მათ შეესატყვისება, მაშინ როგორ არის შესაძლებელი ახალშობილის განვითარება? იგი ხომ მრავალრიცხოვან გამლიზიანებელთა გარემოში იწყებს ცხოვრებას, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს მის შინაგან შესაძლებლობებს. ასეთ პირობებში კი, ნაცვლად ზრდისა და განვითარებისა, მოსალოდნელია, იგი დაიღუპოს.

დასმულ კითხვაზე დ. უზნაძე იძლევა შემდეგ პასუხს – როდესაც ბავშვი იბადება, ფიზიკური გარემო არასდროს არ იწყებს მასზე უშუალოდ ზემოქმედებას. ტემპერატურა, სინათლე, ბგერა და ა.შ. უშუალოდ როდი მოქმედებს ბავშვის ორგანიზმზე, არამედ აღმზრდელი ახდენს ამ გამლიზიანებლების შერჩევას და მოდიფიცირებას. ბავშვს იცავენ ზედმეტი სიციხისგან და სიცივისგან, ხმაურისგან და ძლიერი სინათლისგან. აღმზრდელი ახალშობილის ორგანიზმზე მხოლოდ იმ გამლიზიანებლებს ამოქმედებს, რომელიც მის შინაგან ძალებს შეესატყვისება და, შესაბამისად, მისი განვითარების შესაძლებლობას იძლევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალშობილი ნამდვილ ფიზიკურ გარემოში კი არ იწყებს ცხოვრებას, არამედ სოციალურ გარემოში.

თავისთავად ცხადია, რომ ეს არა მხოლოდ ახალშობილის შესახებ შეიძლება ითქვას. ფიზიკური სინამდვილე ბავშვის სიცოცხლის შემდეგ პერიოდებშიც სოციალური წრის მიერ განსაზღვრული და სახეშეცვლილი გამლიზიანებლების სახით მოქმედებს მასზე. რა თქმა უნდა, ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად, ფართოვდება ფიზიკური გარემოდან შერჩეული ელემენტების წრე. დ. უზნაძის მიხედვით, ბავშვის გან-

ვითარება მხოლოდ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთიანობის ნიადაგზეა შესაძლებელი. განვითარება სოციალურად განსაზღვრული ასაკობრივი გარემოს ზემოქმედების პირობებში ხორციელდება. ამგვარად, ბავშვის თითოეული პერიოდის განვითარებას ასაკობრივი გარემო განსაზღვრავს.

მაგრამ რა განსაზღვრავს თვითონ ასაკობრივ გარემოს? რით ხელმძღვანელობს სოციალური წრე, როდესაც გამლიზიანებულთა შერჩევას და მოდიფიკაციას ახდენს, ან თვითონ ბავშვი, რომელიც განსაზღვრულ გამლიზიანებლებს ირჩევს თავის გარემოდ?

დ. უზნაძის მიხედვით, განვითარება მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი, თუ გარემო ბავშვის შინაგან ძალთა განვითარების დონეს შეესატყვისება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა გამლიზიანებლები შევა ასაკობრივ გარემოში, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ხასიათის და რა დონის ძალები აქვს ბავშვს შესატყვის ასაკში მოცემული. მაშასადამე, ასაკობრივ გარემოს ბავშვის შინაგან შესაძლებლობათა დონე განსაზღვრავს.

ამრიგად, ერთი მხრივ, ბავშვის ძალთა განვითარება მასზე მოქმედ ასაკობრივ გარემოზეა დამოკიდებული, ხოლო, მეორე მხრივ, პირიქით, თვითონ ასაკობრივი გარემოს შინაარსი ბავშვის ძალთა განვითარების დონით განისაზღვრება.

რასაკვირველია, ასაკობრივი გარემო გამუდმებით იცვლება, ახალ-ახალი სტიმულებით ივსება, რაც განსაზღვრავს კიდევ განვითარების პროცესს. ეს რომ ასე არ იყოს, განვითარების პროცესიც ვერ შედგებოდა.

სასკოლო ასაკი თავისი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება. მასწავლებელი ქმნის ასაკობრივ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარებას. სწორედ ამიტომ ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა სასწავლო გარემოს სწორ ორგანიზებას. თუ მასწავლებელი აწესრიგებს სასწავლო გარემოს, მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ამით უზრუნველყოფს კიდევ მათი შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას. უკვე განვითარებული შესაძლებლობები კი ახალი სასწავლო გარემოს შექმნის აუცილებლობას მოითხოვს.

დ. უზნაძის თანახმად, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივ მდგომარეობას მოძრაობა, აქტივობა შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მას რაიმე ძალა, რაიმე ფუნქცია ჰქონდეს და ეს უკა-



ნასკნელი მანამდე უმოქმედოდ იყოს, სანამ მას ამ მდგომარეობიდან რაიმე გარე გამლიზიანებელი არ გამოიყვანს. ამა თუ იმ ფუნქციის, ამა თუ იმ ძალის არსებობა ბუნებრივად მის მოქმედებას, აქტივობას ნიშნავს. ყოველ შინაგანს გარეგანი ესაჭიროება, ყოველ ფუნქციას – გარეგანი ობიექტი. მაშასადამე, შეუძლებელია, იგი არსებობდეს და გარეგანისკენ (აქტივობისკენ) არ ისწრაფოდეს. ამას დ. უზნაძე **ფუნქციური ტენდენციის უწოდებს. ორგანიზმის ძალები არა მხოლოდ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამოქმედდება, არამედ თავისთავად, მართო იმ ფაქტის გამო, რომ ისინი არსებობენ.**

რა ასაკის ბავშვიც უნდა განვიხილოთ, გარდა იმ ძალებისა, რომელიც მისი არსებობისთვისაა საჭირო, მის განკარგულებაში ძალების საკმაოდ ფართე წრე მოიპოვება, რომელთა არსებობასაც ამჟამად მისთვის არავითარი ბიოლოგიური მნიშვნელობა არ აქვს. მაგალითად, იმისათვის, რომ ახალშობილმა სიცოცხლე შეძლოს, მან წოვის, სუნთქვის, საჭმლის მონელების ფუნქციების დამოუკიდებლად ამოქმედება უნდა შეძლოს (ყველა მისი დანარჩენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე უფროსები ზრუნავენ). მაშინ რა საჭიროა – ხელები, ფეხები, მხედველობის, სმენის და სხვა ორგანოების მთელი რიგი? ყველა ეს ფუნქცია ბავშვმა მშობლებისგან მემკვიდრეობით მიიღო და მომავალში ისინი მისთვის ბიოლოგიურად აუცილებელია.

ამრიგად, ბავშვს ძალების ორი ჯგუფი გააჩნია – კონკრეტულ ასაკში, ერთი ჯგუფი, მისთვის ბიოლოგიურად არის აუცილებელი, მეორე კი – ბიოლოგიურ გამოყენებას მოკლებულია. რა აძლევს ძალების მეორე ჯგუფს ამოქმედების იმპულსს? **დ. უზნაძის თანახმად, მათ ამოქმედებას ფუნქციური ტენდენციის იმპულსით გამოწვეული აქტივაცია შეადგენს.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაბადებისთანავე, ბავშვი არა მხოლოდ იმ ძალებითაა აღჭურვილი, რომლებიც ბიოლოგიურად მნიშვნელოვანია მისი განვითარების ამ ეტაპზე, არამედ იმ ძალებითაც, რომლებიც მან მემკვიდრეობით მიიღო და რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება განვითარების შემდგომ ეტაპებზე. მოცემულ ეტაპზე ეს „ზედმეტი“ ძალები მოქმედებს **ფუნქციური ტენდენციის საფუძველზე.** თამაში სწორედ ამ ძალთა მოქმედების გამოვლინებაა. მნიშვნელოვანია, რომ თამაშის საშუალებით ხდება იმ ძალების და შესაძლებლობების განვითარება, რომელიც შემდგომში სერიოზული საქმიანობის განხორციელების საფუძველი ხდება.



სასკოლო ასაკში, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის ცხოვრებაში სწავლა დიდ ადგილს იკავებს, არანაკლები დრო ეთმობა თამაშს, განსაკუთრებით კი ფიზიკურ თამაშებს. ამასთან, სკოლის ასაკის ბავშვების თამაში სპეციფიკურ სახეს იძენს. ბავშვი მარტო აღარ თამაშობს. მას აუცილებლად ჰყავს პარტნიორი და, ამასთან, მისი თამაში მიზანდასახული ქცევების ფორმად იქცევა, რომელიც საკუთარი ძალების გამოცდის, თანატოლებთან შეჯიბრების ხასიათს იძენს.

გარკვეულ ასაკში ბავშვს ისე უმწიფდება ამა თუ იმ ფუნქციათა სისტემის შინაგანი შესაძლებლობები, რომ ის გარკვეულ ფუნქციურ ტენდენციას გრძნობს. ამ შემთხვევაში, საკმარისია გარემოში ამ ფუნქციის შესატყვისი პირობები შეხვდეს, რომ ფუნქციურმა ტენდენციამ იჩინოს თავი. მაგალითად, კითხვის ფუნქციის მომწიფების შემთხვევაში, შესატყვისი გარე პირობების არსებობისას, იგი შესაბამის აქტივობაში გამოვლინდება.

## ადამიანის ძნელის ფორმების კლასიფიკაცია

ქცევა აქტივობაა და ნიშნავს სუბიექტის ურთიერთობას გარემოსთან, გარე სინამდვილესთან. ქცევა განისაზღვრება მოთხოვნილებით და იმ საგნით, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

დ. უზნაძე ქცევის პროცესს შემდეგნაირად განმარტავს – ცოცხალი ორგანიზმი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს გარე საგნობრივ სინამდვილეს, გარემო უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესატყვისი მოქმედებისთვის განაწყობს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

ადამიანის ქცევის ფორმების დახასიათებისას, დ. უზნაძე გამოყოფს მოთხოვნილებათა ორ დიდ კლასს, რომელიც ადამიანთა ქცევას აღძრავს და წარმართავს. ესენია – სუბსტანციური და ფუნქციური მოთხოვნილებები. **სუბსტანციური მოთხოვნილებები** საფუძვლად ედება ე.წ. **ექსტროგენურ (გარეგანი წარმოშობის)** ქცევებს, როგორცაა: შრომა, საქმე, მომსახურება, თვითმომსახურება და სხვა. როდესაც ადამიანს რაიმე მოთხოვნილება უჩნდება, რომლის დასაკმაყოფილებლად გარკვეული ობიექტია საჭირო, მაგალითად, როდესაც ადამიანს ჭამის მოთხოვნილება უჩნდება, რომლის დაკმაყოფილებაც,

ვთქვათ, პურის საშუალებით შეიძლება, მაშინ, მოცემულ სიტუაციაში შექმნილი განწყობის საფუძველზე, ის სწორედ იმ ძალებს აამოქმედებს, რომელიც ამ ობიექტის (პურის) მისაღებადაა აუცილებელი. როგორც ვხედავთ, ადამიანის ქცევის განწყობას და ქცევას საგანი განსაზღვრავს, რომლის მოთხოვნილებაც მას აიძულებს, აქტივობას მიმართოს. ამ შემთხვევაში ქცევა თითქოს გარედან (საგნიდან) იღებს იმპულსს. ასეთ ქცევას დ. უზნაძე ექსტროგენურს უწოდებს.

**ფუნქციური მოთხოვნილებები** საფუძველად ედება ე. წ. **ინტროგენურ (შინაგანი წარმოშობის)** ქცევებს, როგორცაა თამაში, შემოქმედება, ესთეტიკური ტკბობა, სპორტი და სხვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანს არა მარტო ის მოთხოვნილებები აქვს, რომლის დასაკმაყოფილებლაც რაიმე ობიექტია საჭირო, არამედ აქტივობის მოთხოვნილებაც, რომელსაც დ. უზნაძე ფუნქციურ ტენდენციას უწოდებს. ამ შემთხვევაში ქცევა გარედან კი არ არის განსაზღვრული, არამედ შინაგანი იმპულსით. ასეთ ქცევას დ. უზნაძე ინტროგენურს უწოდებს.

**სუბსტანციური მოთხოვნილებების** დაკმაყოფილება სიცოცხლის არსებობისთვის, გაგრძელებისთვის და გადარჩენისთვის არის აუცილებელი და მიზანშეწონილი (მაგალითად, კვების, უსაფრთხოების მოთხოვნილება).

მაგრამ ადამიანს არა მარტო ფიზიკურ სხეულთან დაკავშირებული და სხეულიდან მომდინარე მოთხოვნილებები აქვს, არამედ მოთხოვნილებები, რომლებიც მისი სოციალური ბუნების ნიადაგზეა აღმოცენებული. მაგალითად, ადამიანისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა), რომელიც ცოდნის წყურვილის სახით განიცდება.

როცა რაიმე ინფორმაციის გაგება მაინტერესებს, ამისთვის არსებობს ორი გზა. პირველი — შემიძლია ვინმეს მივმართო და იმ ინფორმაციის მიწოდება ვთხოვო, რომელიც მაინტერესებს. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ასეთი აქტივობის შემთხვევები ძალზედ ბევრია. მაგალითად, ჩვენ ვკითხულობთ გაზეთებს, წიგნებს და ა.შ. უფროსებსაც და ბავშვებსაც უყვართ ისეთი კითხვების დასმა, როგორცაა — რა? რატომ?

არსებობს ინფორმაციის მოპოვების მეორე გზაც — ადამიანი თვითონ ცდილობს ინფორმაციის მოპოვებას. ამ მიზნით, ადამიანი ატა-

რებს კვლევა-ძიებას და ცოდნას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე იღებს.

ექსტროგენური ქცევის ერთ-ერთი ფორმაა შრომა, რომლის შედეგადაც იქმნება ობიექტური მნიშვნელობის მქონე პროდუქტი. შრომის შემთხვევაში, ადამიანი ხელმძღვანელობს არა აქტუალური მოთხოვნების იმპულსით, არამედ იმ განზრახვით, რომ შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელსაც არა მარტო მოცემულ მომენტში ექნება ღირებულება. მაგალითად, მონადირეს ტყეში ღელე შეხვდა, რომელზე გადასვლაც ვერ მოახერხა. იგი ჭრის ხეს და ღელეზე გადადებს. მონადირეს გარკვეული აქტუალური მოთხოვნილება (მეორე ნაპირზე გადასვლის მოთხოვნილება) აქვს, რომელიც მას გარკვეული მიმართულებით ამოქმედებს. თუკი მონადირეს არ აქვს მიზნად, უკან იმავე გზით დაბრუნდეს, მაშინ მის მიერ გადებული ხიდი, როგორც ხიდი, აღარ არსებობს. ამ შემთხვევაში მონადირემ გასწია არა შრომა, არამედ თვითმომსახურების აქტივობა (ასევე ექსტროგენური ქცევა). ხოლო თუ მონადირეს მიზნად აქვს ხიდის გაკეთება, რომელსაც შემდეგშიც გამოიყენებს, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს შრომას.

**ფუნქციური მოთხოვნილებანი** კი რაიმე დანაკლისის შევსებას კი არ ელტვიან, როგორც ეს ხდება სუბსტანციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას (მაგალითად, მწყურია და წყალს დავლევ), არამედ საკუთრივ ფუნქციონისაკენ, მოქმედებისაკენ მისწრაფვიან. ფუნქციონობა ამ შემთხვევაში თვითმიზანია, და არა რაიმე სხვა მიზნის მიღწევის საშუალება. დ. უზნაძის თეორიის თანახმად, თამაშის არსს სწორედ ეს მოთხოვნილებები განსაზღვრავს. თამაშის დროს არანაირი პროდუქტი არ იქმნება, მისი მიზანი თვითგანვითარება, საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების გამოცდაა.

თამაშს, როგორც ქცევას, საფუძვლად უდევს ფუნქციის სიამოვნება, ანუ თამაშის ძირითადი მოტივი ბავშვისთვის თვითაქტივობისგან სიამოვნების მიღებაა.

სწორედ ამიტომ, ბავშვი ზოგჯერ მარტოც მიმართავს საკუთარი მოტორული აპარატის ამოქმედებას (რაც მას სიამოვნებას ანიჭებს). იგი თითქოს თავის თავს ეჯიბრება და ცდილობს, სულ უფრო და უფრო დახვეწილი და ძლიერი მოძრაობები შეასრულოს. ამგვარად, თამაში მოძრაობათა განვითარების, გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზანს ემსახურება და იგი შეჯიბრების პირობებშიც ხორციელდება, რომელიც

გულისხმობს გარკვეული წესებისა და პირობების დაცვას. შედეგად, ბავშვი თამაშის გზით გაითავისებს საზოგადოებაში არსებულ გარკვეულ წესებსა და ნორმებს, რაც ეხმარება მას პიროვნებათშორისი ურთიერთობებისა და ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარებაში.

**ზოგი ქცევა კი ორმაგი ბუნებისაა, იგი ერთდროულად ექსტროგენურიცაა და ინტროგენურიც, მაგალითად, სწავლა.**

ჩვეულებრივ, ფიქრობენ, რომ სწავლა შრომის, კერძოდ კი, გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახეა. დ. უზნაძე მიიჩნევს, რომ ეს მცდარი შეხედულებაა. დ. უზნაძის თანახმად, როდესაც შრომასთან გვაქვს საქმე, მხედველობაში ის პროდუქტი გვაქვს, რომელიც შრომის შედეგად შეიქმნა. შრომის ცნება არავითარი სხვა ეფექტის მოცემას არ გულისხმობს, ხოლო სწავლის შემთხვევაში კი სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

ვთქვათ, ბავშვს წერას ვასწავლით. როდესაც ბავშვმა რამდენიმე სიტყვის დაწერა ისწავლა, მან არა მარტო ამ სიტყვების დაწერა იცის, არამედ, მას სხვა სიტყვების დაწერის უნარიც განუვითარდა. ამიტომ წერის სწავლისთვის სრულიად არაა საჭირო ყველა იმ სიტყვის წერა ვისწავლოთ, რომლის დაწერაც მომავალში დაგვჭირდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოდნას არა მარტო კონკრეტული ცოდნის მოპოვება აქვს მიზნად, არამედ მოსწავლის სათანადო ძალების განვითარება. ამიტომ სწავლის შემთხვევაში არასდროს ვამბობთ, რომ მოსწავლეს კონკრეტული სიტყვის დაწერა ვასწავლით ან კონკრეტული მაგიდის გაკეთება, არამედ ვამბობთ – საზოგადოდ, წერა ან მაგიდის გაკეთება ვასწავლით. შრომის შემთხვევაში კი, საზოგადოდ, რაიმე საგნის გაკეთება სრული უაზრობაა, – აღნიშნავს დ. უზნაძე.

ამრიგად, სწავლის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული ცოდნის შექმნა, არამედ იმ ძალების განვითარება, რომელიც სწავლის პროცესში იღებენ მონაწილეობას.

თუ სწავლა აქტივობის ისეთი ფორმაა, რომლის მიზანიცაა შინაგანი ძალების განვითარება, მაშინ, თამაშის მსგავსად, მასაც საფუძვლად ფუნქციური ტენდენცია უდევს. მაგრამ, თამაშისგან განსხვავებით, სწავლა ყოველთვის გულისხმობს ცოდნის (პროდუქტის) მიღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის განვითარების პროცესში ჩვენ ვაძლევთ „საგანს“ ბავშვის იმ ძალებს, რომელიც ფუნქციური ტენდენციის

საფუძველზე ამოქმედდნენ. მაგალითად, როცა მეტყველების ფუნქცია მომწიფდება, ჩნდება მისი ამოქმედების ტენდენცია. მეტყველება კი რომელიმე კონკრეტულ ენაზე შეიძლება. მაშასადამე, შეუძლებელია მეტყველების ფუნქციური ტენდენცია დაკმაყოფილდეს, თუ მას გარედან არ მივცემთ „საგანს“, რომელიმე ენის მასალას. ანდა მეორე მაგალითი: ვთქვათ, ბავშვს იმდენად მოუწიფდა ანგარიშის წარმოების გონებრივი ფუნქცია, რომ მისი ამოქმედების ტენდენციამ იჩინა თავი. თავის თავზე მინდობილი ბავშვი ალბათ მხოლოდ პრიმიტიული აზროვნების განვითარებას შეძლებს. სკოლაში კი ბავშვს გარედან მიეწოდება მათემატიკური ოპერაციების განხორციელების წესები.

ამრიგად, სწავლა ბავშვის შინაგანი ძალების ფუნქციური ტენდენციის გამოვლენას გულისხმობს, მაგრამ ეს გამოვლენა მხოლოდ იმ მასალაზე ხდება, რომელიც უფროსების მიერ გარედან მიეწოდება.

ზემოთ ნათქვამის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, რომ სწავლა, ერთი მხრივ, სუბსტანციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება (მაგალითად, ინტელექტუალური მოთხოვნილება, მასწავლებელთა მხრიდან შექების და აღიარების მოთხოვნილება), მაგრამ, მეორე მხრივ, იგი მოსწავლის განვითარების პროცესში მყოფი ძალებისა და ფსიქიკური ფუნქციების თვითაქტივობის (ფუნქციურ) მოთხოვნილებას ეყრდნობა.

სწავლა ინტროგენური ქცევის ფორმადაც შეიძლება ჩაითვალოს და ექსტროგენურადაც. თუმცა იგი არც ერთს წარმოადგენს და არც მეორეს. იგი უფრო გარდამავალი ფორმაა ქცევის ორ ძირითად კატეგორიას შორის, აღნიშნავს დ. უზნაძე.

## **დ. უზნაძის პედაგოგიკური შინაძულეები**

დ. უზნაძე, განწყობის თეორიის პრინციპებზე მსჯელობისას, ხშირად საუბრობს პედაგოგიკაზე, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობაზე. თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოთქმული მისი იდეები დღესაც აქტუალურია.

დ. უზნაძის აზრით, აღზრდა არის სწრაფვა იდეალისკენ. აღზრდა სოციალურად განსაზღვრული პროცესია, რადგან ადამიანი თავისი არსით არის სოციალური. ბავშვი არ არის პატარა მოზრდილი და

აღმზრდელი ვერ მიაღწევს თავის მიზნებს, თუ არ ჩასწვდება ბავშვის ბუნებას. მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა მისცემს მას შესაძლებლობას, უმტკივნეულოდ შეუხამოს სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის ბუნებრივი განვითარების მიმართულებას.

აღზრდის მიზანთა სოციალური ბუნების აღიარებას მიჰყავს დ. უზნაძე აღმზრდელობითი პროცესის უმთავრესი წინააღმდეგობის აღმოჩენამდე, რომელსაც მან „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ უწოდა. უფსკრული აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩნდება იმიტომ, რომ აღმზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, თუმცა კი თვლის, რომ აღსაზრდელის მომავალი კეთილდღეობით ხელმძღვანელობს, სინამდვილეში არ აქცევს ყურადღებას აღსაზრდელის სურვილებს, არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებით. ის, რაც, აღმზრდელის აზრით, კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად იქცევაო, - წერდა დ. უზნაძე. „აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი.

ადამიანები ბევრ რამეს ვსწავლობთ ჩვენდაუნებურად, სტიქიურად, ლატენტურად. მით უფრო ბავშვი – რაც უფრო პატარაა, მით უფრო დამახასიათებელია მისთვის ამ ტიპის სწავლა. ლატენტური სწავლის პროცესში ბავშვი მიზანდასახულობის გარეშე, თავისდაუნებურად, მაგალითად, თამაშის პროცესში, ბევრ რამეს სწავლობს. ამ დროს ბავშვის განწყობას აქტუალური მოთხოვნილება (რა მოთხოვნილებაც მოცემულ მომენტში აქვს მას) და აქტუალური სიტუაცია ქმნის. თუ ბავშვს თამაშის მოთხოვნილება აქვს და შესაბამისი სიტუაციაც არსებობს ამ ქცევის განსახორციელებლად – იგი თამაშობს. თამაშის პროცესში ბავშვი ბევრ რამეს სწავლობს მიზანდასახულობის გარეშე – ივითარებს მოტორულ უნარებს, ეუფლება წესებს, ვარჯიშდება სოციალურ ურთიერთობებში, აღმოაჩენს საგნის უამრავ თვისებას და ა.შ.

სასკოლო სწავლა კი გაცნობიერებული, მიზანდასახული აქტივობაა, რომელიც აზროვნებისა და ნებისყოფის მონაწილეობას გულისხმობს. სწავლის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვი, როგორც აქტიური სუბიექტი, იღებს გადაწყვეტილებებს, რითაც იქმნება სათანადო აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო განწყობა.

აღმზრდელი, როგორც სოციალური მიზნების მატარებელი, მომავალზეა ორიენტირებული, ხოლო აღსაზრდელი კი აწმყოს სუბიექტია, რომელსაც ახლა სურს რაღაც და მასზე უარის თქმა უჭირს. მასწავლებელმა იმაზე უნდა იზრუნოს, რომ თავიდან ბავშვის სწავლა მის უშუალო მისწრაფებებს და ინტერესებს დაუქვემდებაროს – წარმატების მიღწევის მოთხოვნილებას, ცნობისმოყვარეობას, ფუნქციობის მოთხოვნილებას. მხოლოდ კარგი ნიშნით, შექცებით, მატერიალური ინტერესით (გარეგანი მოტივაცია) განხორციელებული სასწავლო აქტივობა მოსწავლისთვის არაფრის მომტანია. თანაც გარეგანი მექანიზმებით გაზრდილი მოტივაცია ამ მექანიზმების ამოწურვისთანავე ქრება.

მოსწავლის სასწავლო აქტივობები განპირობებული უნდა იყოს შინაგანი მოტივაციით (ცნობისმოყვარეობა, ინტერესი და ა.შ.). ასეთ დროს მოსწავლისთვის თავად აქტივობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჯილდო. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს უნდა ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მოთხოვნილება – ინტელექტუალური (ცნობისმოყვარეობა) მოთხოვნილება ე.წ. სწავლის წყურვილში გადაეზარდოს. ბავშვს გაუჩნდება სწავლის მოთხოვნილება და, შესაბამისად, განწყობაც.

### **ცნობისმოყვარეობის (ინტერესის) გაღვიძება მოსწავლეებში**

რეკომენდაციები:

- გამოავლინეთ მოსწავლეთა ინტერესები, ჰობი, მათთვის საინტერესო საქმიანობა, რომელიც გაკვეთილებსა და დისკუსიებში შეიძლება იქნეს ჩართული.
  - ხელი შეუწყვეთ მოსწავლეთა შორის ურთიერთობას, რათა მათ ერთმანეთს გაუზიარონ პირადი გამოცდილება, ნახატები, ნაწერები, დასვან კითხვები, გასცენ პასუხები (რა წიგნს კითხულობ? რომელი პოეტი გიყვარს?), რათა მათ მეტი გაიგონ ერთმანეთის ინტერესებზე.
  - გამოავლინეთ კლასის ექსპერტები სხვადასხვა საქმიანობაში (ვინ იცის, როგორ ავავოთ კომპიუტერით გრაფიკები? როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია ინტერნეტში?).
  - იქონიეთ მოსწავლეთა ინტერესებისა და ჰობის შესაფერისი საკლასო ბიბლიოთეკა.



- უფლება მიეცით მოსწავლეებს, გააკეთონ არჩევანი თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით.
- ჩართეთ სწავლების პროცესში იუმორი, პიროვნული გამოცდილება, ანეკდოტები, რაც ხელს შეუწყობს კლასში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას.
  - მოუყევით მოსწავლეებს თქვენი საკუთარი ინტერესების, ჰობის შესახებ.
- გამოიყენეთ საინტერესო შინაარსისა და დეტალების შემცველი მასალა.
  - გამოჩენილი ადამიანების წერილები და დღიურები – ლიტერატურის გაკვეთილზე.
  - ისტორიული დოკუმენტები და წყაროები – ისტორიის გაკვეთილზე.
- შექმენით სიურპრიზების მოლოდინისა და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი სიტუაცია.
  - სთხოვეთ მოსწავლეებს, წინასწარ განსაზღვრონ, რა მოხდება ექსპერიმენტში. შემდეგ კი აჩვენეთ შედეგი.
  - მოიყვანეთ ციტატები ისტორიიდან და ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვინ თქვა ეს?

პედაგოგმა უნდა იზრუნოს ბავშვის, როგორც ნებისმიერი ქცევის განმხორციელებელი სუბიექტის განვითარებაზე – ისწავლოს გაცნობიერებულად, შეგნებულად, მიზანდასახულად. რაც, რასაკვირველია, სრულიადაც არ გამოირიცხავს მოსწავლის ინტერესების უგულვებელყოფას. განსაკუთრებულ ყურადღებას დ. უზნაძე უთმობს დისციპლინას, როგორც ნებისყოფის განვითარების პირობას. ძლიერი ნებისყოფა შეიძლება გახდეს დამანგრეველი ძალა, მაგრამ შეიძლება გახდეს შემოქმედების საფუძველიც, თუკი დაკავშირებული იქნება ადამიანის ძირითად, მუდმივ ღირებულებებთან, – წერს დ. უზნაძე. ნებისყოფის განვითარება მოითხოვს მის მუდმივ წვრთნას და სკოლა ამისთვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

დ. უზნაძის მიხედვით, სწავლა ადრეული ბავშვობიდან იწყება, მაგრამ დასრულებულ შინაარსს სწავლა სკოლის გარემოში იძენს. ამ პერიოდში სწავლა ქცევის ძირითად ფორმად იქცევა. სწავლა მხოლოდ რაიმე ცოდნის შეძენას არ გულისხმობს, არამედ შესაძლებ-



ლობებისა და უნარების განვითარებასაც. სწორედ ამიტომ, სწავლის პროცესში არა მხოლოდ კონკრეტული ცოდნის ან ჩვევის დაუფლება ხდება, არამედ მოსწავლის იმ უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაც, რომლებიც სწავლის პროცესში მონაწილეობენ. უფრო მეტიც, დ. უზნაძის აზრით, სწავლაში ძირითადი სწორედ ამ უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაა. თუმცა, თამაშისგან განსხვავებით, სწავლის პროცესში ბავშვის ძალების აქტივაცია მასწავლებლის მიერ მიწოდებული მასალის საფუძველზე მიმდინარეობს და, ამ მხრივ, სწავლა ქცევის გარდამავალი ფორმაა – თამაშსა და შრომას შორის.

სასკოლო გარემოში სწავლა, გარკვეულ სასწავლო მასალასთან ერთად, აუცილებლად გულისხმობს მასწავლებელსაც, კერძოდ კი მის მონაწილეობას სწავლის პროცესში. მასწავლებლის ფუნქცია მასალის უბრალოდ მიწოდება და გამოკითხვა კი არ არის, არამედ – სწავლება. მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს, რისთვისაც სასწავლო მასალას მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით გარდაქმნის და ისე აწოდებს მას. მასალა, ერთი მხრივ, მოსწავლის ცოდნისა და უნარების აქტუალური დონის შესატყვისი უნდა იყოს, მეორე მხრივ კი – მისგან გარკვეულწილად დაშორებული, რათა ხელი შეუწყოს განვითარებას.

მასწავლებლის ფუნქციაა, მოსწავლისათვის ახალი მასალის მისაწვდომად გადაცემა, ახსნა. დ. უზნაძის თანახმად, ახსნა კი უცნობის ნაცნობზე, ახლის ძველზე დაყვანასა და სწორედ ამით ნაცნობისა და ძველის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას ნიშნავს.

სწავლების პროცესში მასწავლებელი შუამავალია შესასწავლ მასალასა და მოსწავლეს შორის. ახსნის შედეგად, მანამდე პრაქტიკულად მოცემული გარკვეული ფაქტი ბავშვისთვის დაკვირვების ობიექტად იქცევა, მისი ცნობიერებისთვის ხდება მისაწვდომი.

ამრიგად, უზნაძის მიხედვით, სწავლების ძირითადი არსი ახსნაში და, ამ გზით, მოვლენათა, ფაქტთა და საგანთა ცნობიერებაში ასახვასა და მოსწავლის ცნებითი აზროვნების განვითარებაში მდგომარეობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწავლა თავის ნამდვილ, დასრულებულ შინაარსს სკოლაში სწავლისას იძენს. სასკოლო სწავლება, ერთი მხრივ, გულისხმობს იმ ფსიქიკურ აქტივობას (სწავლას), რომელსაც ბავშვი ახორციელებს რაიმეს შესასწავლად და, მეორე მხრივ, მასწავ-

ლებლის მონაწილეობას ამ პროცესში. იგი ასწავლის მოსწავლეს და მისი ძალების შესატყვისად გარდაქმნის სასწავლო მასალას.

საუბრობს რა მასწავლებლის უდიდეს როლზე სწავლის პროცესში, დ. უზნაძე ასეთ შეკითხვას სვამს – ნუთუ სწავლება აუცილებელია და არ შეიძლება მოზარდი თავისი საკუთარი თავისთვის მიგვენდო და ხელმძღვანელის გარეშე დაგვეტოვებინა? რა თქმა უნდა, შესაძლებელია ადამიანმა კულტურული განვითარების პროცესში დაგროვილი ცოდნა სავსებით ნატურალური გზით მიიღოს, მაგრამ ეს გზა ძალზე გრძელი და ძნელად სავალი იქნებოდა. ასე ადამიანი შორს ვერ წავიდოდა. დასრულებული სახით, კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნა მეცნიერებაში არის თავმოყრილი და მათი სრულყოფილი დაუფლება ბუნებრივი განვითარების გზით შეუძლებელია. მასწავლებელი კი მოსწავლეს ამ ცოდნას გადასცემს იმ ძალების გათვალისწინებით, რომელიც ბავშვის შესაძლებლობებში არსებობს, რა ძალებიც სამოქმედოდ არიან განწყობილნი. მასწავლებლის როლი სწორედ ისაა, რომ **მან კარგად უნდა იცოდეს, რა ძალები როდის განეწყობიან სამოქმედოდ და სასწავლო პროგრამა მას დააფუძნოს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, სწავლება სრულიად უნაყოფო იქნებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლა ორმხრივი პროცესია – მოსწავლე და მასწავლებელი. სწორედ აღმზრდელი განსაზღვრავს, თუ რომელი ძალები უნდა იქნენ განვითარებულნი მოცემულ ეტაპზე და რომელი – შემდგომ. ეს ეხება არა მხოლოდ სწავლების პროცესს, არამედ აღზრდასაც.

დ. უზნაძის აზრით, ფსიქიკური განვითარება შინაგან შესაძლებლობათა და მათთვის შესატყვისი პირობების შეხვედრის ნიადაგზე წარმოებს. თუ შინაგან შესატყვისი გარეგანი არ აქვს, მისი აქტივაცია და, შესაბამისად, განვითარებაც არ ხდება. განვითარება ორივე მომენტის შეხვედრის შედეგად ხდება შესაძლებელი. ამ შინაგან შესაძლებლობაში დ. უზნაძე, რა თქმა უნდა, ბავშვის ძალთა განვითარების დონეს გულისხმობს, ხოლო გარე მოცემულობაში კი სასწავლო საგნებს. მათ შორის შუამავლობს და განვითარების აუცილებელ პირობებს კი მასწავლებელი ქმნის.

დ. უზნაძე თავის მოსაზრებებს გამოთქვამს აგრეთვე სასწავლო პროგრამის აგების შესახებ. მოლვაწეობის შედარებით ადრეულ პერიოდში იგი მიუთითებდა, რომ მასალა, რომელიც მოსწავლეს ეძ-

ლევა სწავლების პროცესში შესასწავლად, არ უნდა სცილდებოდეს ბავშვის ინტერესების სფეროს. შემდგომში ის გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მართალია, სასწავლო მასალა მოზარდის აზროვნების ფსიქოლოგიურ წესს უნდა მისდევდეს, მის ძალთა განვითარების დონეს უნდა შეესატყვისებოდეს, მაგრამ, ამავე დროს, მიუთითებს, რომ იგი რამდენადმე მაინც წინ უნდა უსწრებდეს განვითარების დონეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორღა იქნებოდა შესაძლებელი წინსვლა და როგორ გახდება იგი განვითარების უფრო მაღალ დონეზე ასვლის პირობა? – კითხულობს დ. უზნაძე.

დ. უზნაძის მიხედვით, სწავლებასა და განვითარებას შორის ურთიერთდამოკიდებულებას ერთი გარემოებაც ართულებს. კერძოდ ის, რომ მეცნიერების სხვადასხვა დარგს, რომელსაც ჩვენ ვასწავლით სკოლაში, თავისი მკაცრი ლოგიკა აქვს, გარკვეული სისტემითა აგებული. შესწევს კი ბავშვს უნარი მისდიოს ამ წესს? ამ სირთულიდან თავის დაღწევა იმით გახდება შესაძლებელი, თუ გვეცოდინება ბავშვის გონებრივი განვითარების ეტაპები, თუ რა შესაძლებლობები აქვს ბავშვს ამა თუ იმ კონკრეტულ ეტაპზე და როგორ შეიძლება შეუთანხმდეს იგი მეცნიერების შინაგან ლოგიკას.

სასწავლო მასალისა და ბავშვის შესაძლებლობების თანხვედრა ურთულესი პროცესია და იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასწავლებლის მიერ უნდა იყოს წარმართული. ყოველივე ეს პედაგოგისაგან ხელოვანის მსგავს შემოქმედებას მოითხოვს. მასწავლებელი ხსნის ახალ მასალას, უცნობი ნაცნობზე დაჰყავს, ახალი - ძველზე. იგი ერთგვარი შუამავალია სასწავლო მასალასა და ბავშვის შესაძლებლობებს შორის, არეგულირებს ამ პროცესებს და ქმნის პირობებს შემდგომი განვითარებისათვის, – აღნიშნავს დ. უზნაძე.

პედაგოგიკური ხელობა, გარდა იშვიათი პედაგოგიკური ნიჭისა, გულისხმობს პედაგოგიკურ უნარებსა და ჩვევებს, რომლებიც მასწავლებლის პროფესიის ტექნოლოგიას წარმოადგენს.

### **რეკომენდაციები:**

1. გაითვალისწინეთ ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები. ნუ მოსთხოვთ მას ისეთი დავალების შესრულებას, რომელიც მის ძალებს აღემატება.

2. ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი.
3. შეუქმნით სწავლისადმი, ახალი აქტივობისადმი დადებითი განწყობა. სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებით განწყობას გულისხმობს. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. ამისთვის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს შემდეგი ფრაზები:
  - გამარჯობა, მოგესალმებით! კვლავ მიხარია თქვენთან შეხვედრა.
  - მე ძალიან მომწონს შრომისმოყვარე მოსწავლეები, მათთან ძალიან საინტერესოა ურთიერთობა.
  - თქვენ საკმარისი ცოდნა გაქვთ იმისათვის, რომ დავალება კარგად შეასრულოთ.
  - დარწმუნებული ვარ, რომ კარგად მიპასუხებ.
  - ყველაფერი გამოგივა, ეჭვი არ მეპარება.
  - ეს მასალა ძალიან საინტერესოა იმიტომ, რომ...
  - მე შენში ვხედავ ცნობისმოყვარე მოსწავლეს. შენ შეძლებ დავალების შესრულებას.
  - შენ განსაკუთრებით კარგად ახსენი... ყველაზე მეტად შენს ნაშრომში მომეწონა... შენი ნაშრომის ეს ნაწილი იმსახურებს უმაღლეს შეფასებას.
4. სასწავლო მასალა, ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისთვის, მეორე მხრივ, დაშორებული. სხვაგვარად, წინსვლა შეუძლებელი იქნება.
5. საკლასო ოთახში შექმნით ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო.
6. განამტკიცეთ სასურველი ქცევა – ღიმილით, შექებით, ყურადღებით, ნიშნებით, თამაშით და სხვა სახალისო მოქმედებებით.
7. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.
8. ნუ გააკეთებთ აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. აუცილებელია პიროვნების მთელი ძალების ამოქმედება.

9. მოხსენით შიშები, რაც დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ძალების რწმენის ჩამოყალიბებაში. ამისათვის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს შემდეგი ფრაზები:

- ნუ შეგეშინდება შეცდომის დაშვების, მისი გამოსწორება შეიძლება.
- ნუ შეგეშინდებათ, თუ გგონიათ, რომ მასალა ვერ გაიგეთ. ჩვენ შემდეგ გაკვეთილზე კიდევ გავივლით მას.
- ჩვენ ყველანი ვცდილობთ და ვეძებთ, მხოლოდ ასე შევძლებთ რაიმეს მიღწევას.
- ადამიანები სწავლობენ თავიანთ შეცდომებზე.

სწავლის პროცესის სწორი დაგეგმვის შემდეგ, დ. უზნაძის მიერ გამოყენებული ცნება „აღზრდის ტრაგედია“ დაძლეული იქნება.

## კითხვები გაგებისთვის:

---

1. რომელი ფაქტორები განაპირობებს განწყობის აღმოცენებას?
2. რას ნიშნავს ფიქსირებული განწყობა?
3. რა განსხვავებაა იმპულსურ და ნებისმიერ ქცევას შორის?
4. დ. უზნადის თანახმად, რა პირობებშია შესაძლებელი ბავშვის განვითარება?
5. რას ნიშნავს ცნება „ასაკობრივი გარემო“?
6. ძალების რომელი 2 ჯგუფი გააჩნია ბავშვს?
7. რაში მდგომარეობს „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“?
8. დ. უზნადე თვლიდა, რომ სასწავლო პროცესიდან ნიშნით შეფასება უნდა განიღვენოს, ვინაიდან, როგორც წესი, ის სუბიექტურ ხასიათს ატარებს და ხელს უშლის მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნას. თქვენ რას ფიქრობთ?

## გლოსარიუმი

**განწყობა** – სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს მის მზაობას კონკრეტული ქცევის შესასრულებლად.

**ფიქსირებული განწყობა** – ადამიანზე კონკრეტული სიტუაციის ძლიერი ზემოქმედების გამო, ან სიტუაციის ხანგრძლივი, მრავალჯერადი ზემოქმედების შედეგად შექმნილი განწყობა.

**ფუნქციური ტენდეცია** – ორგანიზმის ძალების თავისთავად ამოქმედება, მართო იმ ფაქტის გამო, რომ ისინი არსებობენ (არა მხოლოდ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად).

**ასაკობრივი გარემო** – ბავშვის განვითარების დონის გათვალისწინებით, სოციალური გარემოს მიერ ფიზიკური გარემოს გამდიბიანებლების შერჩევა და მოდიფიცირება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე (1967წ.), ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, შრომები, ტომი 5, თბილისი, „მეცნიერება“.
2. დ. უზნაძე (2005წ.), პედაგოგიური თხზულებანი. თბილისი. „კოლორი“.
3. დ. უზნაძე (1940), ზოგადი ფსიქოლოგია. თსუ-ის გამომცემლობა
4. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე (2008 წ.). განვითარებისა და სწავლების თეორიები. საქართველოს მაცნე.

















[www.tpdg.ge](http://www.tpdg.ge)